

Curved Sided Bronze Axe from the Purtio Village
ბრინჯაოს ყუადაქანებული ცულო სოფელ ფურტიოდან

Nargiz Surmanidze

PhD in History, Researcher at Batumi Archaeological
Museum of LEPL Ajara Museum, Associate Professor
at Tbel Abuseridze Teaching University of Georgian Patriarchate,
e-mail: surmanidze.nargiz01@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5452-7612>

Tariel Ebralidze

PhD in History, Advisor to the Head of Administration at
Batumi Shota Rustaveli State University, Chief scientific researcher
at the Department of History and Archaeology of
Niko Bardzenishvili Institute of
Batumi Shota Rustaveli State University
e-mail: tariel.ebralidze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0488-8118>

Zviad Diasamidze

Historian, Teacher at LEPL Levan
Beridze Phurtio public school
e-mail: zviaddiasamidze73@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0009-0008-6853-7476>

Abstract: One of the significant sources for the study of the history and material culture of Southwestern Georgia, specifically Ajara, in the Early Bronze Age is accidental finds. Among them is the bronze curve sided axe discovered in the Purtio village, Shuakhevi Municipality, in 2012.

The closest similar axe of the Purtio axe is found in Ghorjomi village (Naomari) (Upper Ajara, Khulo district). Besides, we notice some similarities with the axes accidentally discovered on the border of the villages of Ilumi and Bori (Kharagauli district, Imereti), in Sazano and Seiri (Terjoli district, Imereti). It is found in one of the dolmens of Esher as well. As for in eastern Georgia - in Mejvriskhevi and Kizil-Ajlo. In the North Caucasus - in the materials of Ossetia and Kortsas. It is found in Sochi and Kuban too.

It is acknowledged that the curved sides and holed handle axes originated in Transcaucasia. From there they spread to several countries. On the way of their spread, local blacksmiths created local variants by refining the forms and introducing new technical innovations. Some scholars emphasize that a Caucasian

variant of axes was formed in Georgia, which began to spread in the North Caucasus, Europe and the Danube region.

The axes of Purtio and Naomari discovered on the territory of Ajara differ from the axes aforementioned in the relief ridges on the handle and are moderately later.

Based on the classification, we include the Purtio axe in the II group of the short-flanged – curved sided axes, considering the similarities and dating it to the second half of the III millennium BC.

Key words: Purtio; Naomari; Curved sided bronze axe

ნარგიზ სურმანიძე

ისტორიის აკადემიური დოქტორი,
სსიპ აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური
მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი;
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ელ-ფოსტა: surmanidze.nargiz01@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5452-7612>

ტარიელ ებრალიძე

ისტორიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერ-თანამშრომელი
ელ-ფოსტა: tariel.ebraliidze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0003-0488-8118>

ზვიად დიასამიძე

სსიპ ლევან ბერიძის სახელობის ფურტიოს
საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი, ისტორიკოსი
ელ-ფოსტა: zviaddiasamidze73@gmail.com
ORCID: <https://orcid.org/0009-0008-6853-7476>

აბსტრაქტი: ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ისტორიისა და ნივთიერი კულტურის კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს შემთხვევითი მონაპოვრები წარმოადგენს. მათ შორისაა 2012 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში (სხალთისწყლის ხეობა) აღმოჩენილი ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული.

ფურტიოს ცულს ყველაზე ახლო ანალოგი ეძებნება სოფელ ღორჯომის (ნაომარის) ცულთან (ხულოს რაიონი, ზემო აჭარა, ღორჯომის ხეობა).

გარკვეულ მსგავსებას ვხედავთ სოფელ ილუმისა და ბორის საზღვარზე (ხარაგაული რაიონი, იმერეთი), საზანოსა და სეირიში (თერჯოლის რაიონი, იმერეთი) შემთხვევით აღმოჩენილ ცულებთან. გვხვდება ეშერის ერთ-ერთ დოლმენშიც. აღმოსავლეთ საქართველოში - მეჯვრისხევისა და ყიზილ-აჯლოში. ჩრდილოეთ კავკასიაში - ოსეთისა და კორცას მასალებში. აღმოჩენილია სოჭსა და ყუბანში.

აღიარებულია, რომ ყუადაქანებული ცულები წინააზიაში ჩაისახა. აქედან გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში. გავრცელების გზაზე ადგილობრივი მელითონები ფორმების დახვეწის, ახალი ტექნიკური სიახლეების დანერგვით ქმნიდნენ ლოკალურ ნიმუშებს. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ცულების კავკასიური ვარიანტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, ევროპასა და დუნაისპირეთში იწყებს გავრცელებას.

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფურტიოს ცული, ღორჯომის მონაპოვრის მსგავსად სატარეზე შემოვლებული რელიეფური წიბურებით განასხვავდება ზემოთ დასახელებული ცულებისაგან და ასაკით ოდნავ გვიანდელია.

კლასიფიკაციის მიხედვით ფურტიოს ცულს ჩვენ ყველაზე ახლო პარალელების გათვალისწინებით ყუამოკლე-ყუადაქანებული ცულების II ჯგუფში ვაერთიანებთ და ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრით ვათარიღებთ.

საკვანძო სიტყვები: ფურტიო; ნაომარი; ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული; წინააზია.

შესავალი: აჭარაში ადრებრინჯაოს ხანის ლითონის ნაკეთობები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ყველა მათგანი შემთხვევითაა მოპოვებული. მიუხედავად ამისა, დღევანდელი მონაცემებით, ჩანს, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში ლითონის წარმოებას დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. არტექსტების ერთი ნაწილი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით და საერთო-კავკასიური კულტურის ლოკალურ ვარიანტებს წარმოადგენენ. ზოგიერთი მათგანის, კერძოდ, ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულების (ღორჯომის, ცხმორისის, ხელვაჩაურის, აჭყვისთავის)¹ წარმომავლობა დაკავშირებულია მესოპოტამიასთან.

¹ დაცულია აჭარის მუზეუმის, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმსა და ამირან კახიძის სახელობის აჭარის არქეოლოგიურ მუზეუმში

2012 წელს აჭარის მონაპოვრებს დაემატა კიდევ ერთი ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოდან (სხალთისწყლის ხეობა)².

ფურტიოს მსგავსი ცული ჯერ კიდევ 1950 წელს აღმოჩნდა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის მიდამოებში, ადგილ ნაომარზე. საყურადღებოა, რომ ორივე მათგანი, სატარეზე შემოვლებული რელიეფური წიბურებით, განსხვავდება ამ ტიპის ცულებისაგან და ჯერჯერობით მხოლოდ მაღალმთიან აჭარაშია დადასტურებული. არ გამოვრიცხავთ, რომ ისინი ყუადაქანებული ცულების ლოკალურ ნიმუშებს წარმოადგენდნენ. რა თქმა უნდა მასალის სიმწირე და აღმოჩენის პირობები არ იძლევა გადაჭრით საუბრის საშუალებას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აღმოჩენილი არტეფაქტები იმსახურებს სათანადო ყურადღებას.

ყუადაქანებული ცულის წარმომავლობას, ტიპოლოგიას, გავრცელების არეალსა და ქრონოლოგიურ ჩარჩოებს არაერთი მკვლევარი შეეხო (ბ.კუფტინი, დ.ქორიძე, ალ.რამიშვილი, ლ.ჯიბლაძე, ი.ღამბაშიძე და სხვა). სამეცნიერო ლიტერატურაში, საქართველოში აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულების ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, გამოყოფენ სამ ჯგუფს, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი - III ათასწლეული. აღნიშნული ნაშრომები დიდ დახმარებას გვიწევს ფურტიოს ყუადაქანებული ცულისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გარკვეული დასკვნის გაკეთებაში.

მეთოდები/Methods: ფურტიოს ცულის შესწავლისას ვიხელმძღვანელებთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ყუადაქანებულ ცულებთან (ადრეულ და გვიანდელ ფორმებთან) შედარებისა და მათი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებთან შეჯერების მეთოდით, რაც დაგვეხმარა ცულის დათარიღებაში, ამ ტიპის ცულებთან საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დადგენაში.

² ცული სოფელ ფურტიოს მკვიდრმა გოჩა ხილაძემ შემთხვევით იპოვა სოფლის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში. მოსახლეობა ამ ადგილს „ალალურს“ უწოდებს. მონაპოვარი ინახება მპოვნელთან.

ჯერ კიდევ 2008 წელს პროფესორ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით ადგილი „ალალური“ ზედაპირულად დაათვალიერა არქეოლოგებმა (ტ.ებრალიძე, გ.დუმბაძე, ლ.ასლანიშვილი), 2012 წელს გავლებულ საკონტროლო თხრილში გამოჩნდა მეგალითური ნაგებობის ნაშთები. გაიწმინდა ორი, ერთმანეთის პარალელურად ამოყვანილი, დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებისგან შედგენილი კედლის ნანგრევები, რომლის შიდა სივრცე წვრილი ქვა-ღორღითაა ამოვსებული (შემორჩენილი კედლის სიმაღლე 80-120 სმ, სისქე 80-90 სმ, კედლებს შორის მანძილი 2,4-2,5 მ). წინასწარულად ძველი ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნეს (ებრალიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:280, ტაბ.II/1). ძველზე გათხრები არ გაგრძელებულა.

მსჯელობა/Discussion: აჭარის ტერიტორიაზე ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დგინდება, რომ ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქებში აქ მოსახლე ტომების ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას მეტალურგია წარმოადგენდა. თვლიან, რომ ენეოლითის ეპოქიდან (ძვ.წ. V ათასწლეული - IV ათასწლეულის პირველი ნახევარი) იკვეთება პირველი უნარ-ჩვევები წარმოებით ურთიერთობაში ლითონის ნაკეთობათა დანერგვის მიზნით. მომდევნო ეპოქებისათვის, ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი და III-II ათასწლეულები) მყარდება სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობები უძველეს ცივილიზაციებთან (ანატოლიური, მესოპოტამიური, ეგეოსური). ეს კონტაქტები კარგად ჩანს აჭარის ტერიტორიაზე შესწავლილი მეტალურგიის უძველესი კერების, ნამოსახლარებზე (ქობულეთი, მახვილაური) აღმოჩენილი წითელანგობიანი კერამიკის, შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს განძებისა თუ ერთეული ლითონის ნაკეთობების მიხედვითაც (გოგიტიძე, 1978, ტაბ.LVIII; გოგიტიძე, 1987:9-10; გოგიტიძე, 2008:143, 267, 297; კახიძე, 2019:13-15; კახიძე, სურმანიძე, 2019:44-49; კახიძე, 2021), რაც, ბუნებრივია, ზრდის ინტერესს ყოველი ახალი აღმოჩენის მიმართ.

ფურტიოს ყუადაქანებული ცული, ფორმის მიხედვით, აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ნაკეთობებს შორის ერთ-ერთ არქაულ ფორმას წარმოადგენს. აქვს მკვეთრად დაქანებული, ფერდებშეწეული, შუაში ჩაზნექილი ყუა. ყუისა და მრგვალი სატარე ხვრელის კიდევები შესქელებულია. სწორი, სოლისებური ტანი და სატარე ერთმანეთისაგან საფეხურისებურადაა გამოყოფილი, ორმხრივ წამახვილებული პირი ოდნავ მორკალულია.

გასული საუკუნის 40-იან წლებში ყუადაქანებული ცულების გენეზისთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ბ.კუფტინმა, რომელიც შემდგომ არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა. თვლიან, რომ ამ ტიპის ცულები ყუამილიან ცულებთან ერთად ჩაისახა წინა აზიაში ძვ.წ. IV ათასწლეულში. ძვ.წ. IV-III ათასწლეულის მიჯნაზე საქართველოში გავრცელდა. აქ, წინააზიური ნიმუშების მიბადვით, თანდათან ჩამოყალიბდა ადგილობრივი კავკასიური ვარიანტი (ლორთქიფანიძე, 2002:78; ბერძენიშვილი, ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები ქუთაისის მუზეუმიდან). მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სპილენძის ყუადაქანებული ცულები, მიუხედავად წინააზიურ ანალოგებთან მსგავსებისა, მაინც ადგილობრივი კავკასიური სახესხვაობა და ეს ნიმუშები მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში უნდა ჩამოყალიბებულიყო (ჯაფარიძე, 1991:123; ჯაფარიძე, 2013:12; ჯიბლაძე, კვიციანი, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურათა ელემენტების კვეთა კოლხეთის მთიანეთში (ზოგადი მიმოხილვა), გვ.21).

ნაწილს კი მიაჩნია, რომ კავკასიური ვარიანტის ფორმირება ძირითადად დასავლეთ საქართველოში მოხდა (ბერძენიშვილი, ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები ქუთაისის მუზეუმიდან). საქართველოდან ამ ტიპის ცულებმა შეაღწია ჩრდილო კავკასიაში და უფრო შორს დუნაისპირეთამდე გავრცელდა (Куртин 1947:297-298; Куртин 1944:313-329; კახიძე, მამულაძე, 2000:34; კახიძე, 2007:138). ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლო - II ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება შუა აზიაში, პალესტინაში, საბერძნეთში, ბოსნიაში, რუსეთში, უკრაინაში, რუმინეთსა და უნგრეთში (Куртин 1944:სურ.7,8).

ფურტიოს ცულს ანალოგები ეძებნება ადრეულ ფორმებთან, რომლებიც აღმოჩენილია იალბუზში, ქულბაქებში, ბრდამორში (ქორიძე, 1965:50-51; რამიშვილი, 1974:44), სვანეთში (Чартолани, 1989: 40. ტაბ.XI. 1, 4; კვიციანი, 2014). ხოლო ამ უკანასკნელთა ტიპის ცულები კი ადრებრინჯაოს ხანაში დადასტურებულია სხვა ტიპის ცულებთან ერთად მეჯვრისხევისა და ყიზილ-აჯლოში (Куртин, 1949:85, ტაბ. XX; ჯაფარიძე, 1961:90-91; სურ.20; რამიშვილი, 1974:44-45). გარკვეული მსგავსება აქვს სოფელ ილუმისა და ბორის საზღვარზე (ხარაგაული რაიონი, იმერეთი), საზანოსა და სეირიში (თერჯოლის რაიონი, იმერეთი) (ღამბაშიძე და სხვა, 2010:380-381) შემთხვევით მოპოვებულ ამ ტიპის იარაღებთან. აღმოჩენილია ემერის ერთ-ერთ დოლმენშიც (რამიშვილი, 1974:44). ანალოგები ეძებნება ჩრდილოეთ კავკასიაში ოსეთსა და კორცაში (Крупнов, 1951:39. სურ. 7). გვხვდება აგრეთვე სოჭსა და ყუბანში (Иессен, 1951:96, 98, 107; რამიშვილი, 1974:45), აღმოსავლეთ ანატოლიაში (ქარაზი), სომხეთში (კახიძე, მამულაძე, 2000:34).

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყუადაქანებული ცულების ადრეული ფორმები, რომელთანაც გარკვეული მსგავსება აქვს ფურტიოს ცულს, ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევრითა და შუა ხანებითაა დათარიღებული. ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება ღორჯომის (ნაომარის) ცული (დავითაძე, 1973:153-161; დავითაძე, 1976:87-88; კახიძე, მამულაძე, 2000:34), რომელიც ყველაზე ახლოსაა ფურტიოს ცულთან და ყუამოკლე-ყუადაქანებული ცულების II ჯგუფში ერთიანდება (ღამბაშიძე და სხვა, 2010:146, 149). ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი ერთად განხილვა. ორივე მათგანი ამ ტიპის იარაღის ტექნიკური განვითარების კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მონაპოვარია. გამოირჩევიან ზოგიერთი თავისებურებით. კერძოდ, აქვთ ორმხრივ წამახულპირიანი თანაბარი სისქე-სიგანის (სოლისებური) ტანი, სატარე ხვრელს კი ორივე მხარეს სიმტკიცისათვის შემოუყვება რელიეფური წიბურები. ღორჯომის ცულის მაგალითზე თვლიან, რომ ეს ტექნიკური სიახლე ყუადაქანებული ცულების განვითარების შემდგომი საფეხურის მაჩვენებელია (რამიშვილი, 1974:46) და შესაძლებელია კოლხური ცულების დაწახნაგების ადრეულ ჩანასახს წარმოადგენდეს, რომელსაც შუა და გვიან ბრინჯაოს ხანის ცულების გაფორმებაში ფართო ხასიათი მიეცა (ინაიშვილი, 1975:26).

ადრებრინჯაოს ხანის ყუადაქანებული ცულების სატარე ხერელის რელიეფური წიბურებით გაფორმება ჯერჯერობით მხოლოდ ფურტიოსა და ღორჯომის ცულებზეა დადასტურებული. აღნიშნული ნაწილობრივ ეხმაურება მოსაზრებას, რომ ადგილობრივი მელითონეები, პროფესიული საქმიანობის კვალდაკვალ, ახალი ტექნიკური სიახლეების დანერგვითა და იარაღთა ფორმების დახვეწით ქმნიდნენ ლოკალურ ვარიანტებს.

რა გზით გავრცელდა ყუადაქანებული ცულები მთიან აჭარაში, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ძნელი სათქმელია. თუ გავითვალისწინებთ ზ.კვიციანის მიერ შემოთავაზებულ სპილენძის ყუადაქანებული ცულების ტიპოლოგიური ევოლუციის სქემატურ სურათსა და ტერიტორიული გავრცელების დიაგრამას, რომლის მიხედვით ღორჯომის (ნაომარის) ცული სვანეთში (იფარის თემსა და ჭუბერის ხეობაში) აღმოჩენილი ცულების ქრონოლოგიური გაგრძელებაა, რომელსაც შემდეგ მოსდევს საჩხერული ვიწროტანიანი ცულები (კვიციანი, 2014), მაშინ სავარაუდოა, რომ სხალთისა და ღორჯომის ხეობაში ამ ტიპის იარაღი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ რაიონებიდან, შავიზღვისპირა ზოლით ჭოროხ-აჭარისწყლისა თუ ხინო-კინტრიშის ხეობის გავლით შემოდის, ან კიდევ, აჭარა-გურიის ალპურ სამოვრებზე გამავალი გზების საშუალებით. მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ ყუადაქანებული ცულები აჭარის მთიანეთში სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან გავრცელებულიყო.

დიდ მაგისტრალთა სისტემაში აჭარისწყალი წარმოადგენდა ცენტრალური სატრანზიტო გზების შემაკავშირებელ მონაკვეთს. აჭარისწყლის ზემო წელის მთავარ ხეობებში: დიდაჭარა-ღორჯომის ქვაბულსა და სხალთისწყლის ხეობაში გადიოდა გზები, რომლითაც სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა უკავშირდებოდა არა მარტო აჭარის მთიანეთს, არამედ ზღვისპირა ზოლსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს (ვარშანიძე, 1979:8, 27; ინაიშვილი, 1975:34; მამულაძე, 1993:25; ნარიმანაშვილი, მგელაძე, 2007:74-78; ჯიბლაძე, კვიციანი, 2022:28-29).

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აჭარისწყლის ხეობაში გზების არსებობა უკვე ნეოლითის ხანიდან შეინიშნება. დასტურდება, რომ აჭარის მთისა და ბარის მოსახლეობა იყენებდა ჯავახეთის ობსიდიანს. მდ.კინტრიშის ხეობაში მცხოვრები თემი ჭიქიანის საბადოდან გამოტანილი ნედლეულით ამზადებდა საჭირო იარაღს (ჩხატარაშვილი, 2023:11). გზა, საიდანაც მათ შეეძლოთ აღნიშნული ნედლეულის შემოტანა აჭარისწყლის ხეობაზე გადიოდა, რაც, ბუნებრივია, აჭარის მთისა და ბარის ურთიერთკავშირსაც მოწმობს (კახიძე, მამულაძე, 1993:12; ინაიშვილი, 1975:33; მუსხელიშვილი, 2007:75;). გზებსა და გზაჯვარედინებზე ადრეული ეპოქებიდანვე უნდა გაჩენილიყო დასახლებები, რომლებიც თანდათან

ეკონომიკურ და სტრატეგიულ პუნქტებად ყალიბდებიან. ჯერჯერობით ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მიკვლეულია აჭარისწყლის ხეობის სათავეებში, იალად ჯანჯღნარში, რომელიც ადრესამიწათმოქმედო კულტურათა (შულავერ-შომუთეფესა და მტკვარ-არაქსის) არეალში ექცევა და ფიქრობენ, რომ ამ კულტურების ლოკალურ ვარიანტს წარმოადგენს (კახიძე, მამულაძე, 2000:24-30). მტკვარ-არაქსული კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა აღწევს როგორც აჭარის მთიან ზოლში (ჯანჯღნარი, კოლოტაური), ასევე, ზღვისპირეთში (ისპანი) (კახიძე, მამულაძე, 1993:15; კახიძე, მამულაძე, 2000:32-33; კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016:16). ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის განვითარების კვალდაკვალ გზები აქ სავაჭრო-სატრანზიტო ხასიათს იძენს (ინაიშვილი, 1975:33; კახიძე, მამულაძე, 1993:12; მუსხელიშვილი, 2007:98; ნარიმანაშვილი, მგელაძე, 2007:78; მგელაძე და სხვ. 2019:76).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში აჭარის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა მეტალურგიის რამდენიმე საწარმოო კერა; ერთ-ერთია ზემო აჭარისა, რომლის ცენტრი მდებარეობდა დიდაჭარაში. ლითონის წარმოებას ამ დროისათვის ხანგრძლივი ტრადიცია უნდა ჰქონოდა. შესაძლოა ამაზე მიუთითებდეს ადრებრინჯაოს ხანის ფურტიოსა და ღორჯომის ყუადაქანებული ცულების, ვერნების შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულის შემთხვევითი აღმოჩენები (რამიშვილი, 1974:37; კახიძე, მამულაძე, 2000:34; კახიძე, 2007:138; კახიძე, 2007:145; კახიძე, სურმანიძე, ნაგერვაძე, 2016:44-44). არ გამორიცხავენ, რომ ეს მეტალურგიული კერა დამოკიდებული ყოფილიყო სხალთის სპილენძის საბადოზე (ქორიძე, 1965:122; მუსხელიშვილი, 2007:79).

იგივე შეიძლება ითქვას ქვემო აჭარის ზღვისპირეთსა და მთისწინა ზოლზეც. ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონის სოფლებში (ცხმორისი, მახუნცეთი, ხელვაჩაური, აჭყვისთავი) აღმოჩენილია ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულები. ისპანის ტორფქვემა ნამოსახლარზე (ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრული - III ათასწლეულის დასაწყისი) ბრინჯაოს ყუამილიანი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბების, ტიგელების, საქშენი მიღებისა და ცულის ხის მოდელის აღმოჩენა აქ ლითონსამსხმელო სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებს. ვარაუდობენ, რომ ეს სახელოსნო გარკვეულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო მთიანი აჭარის რეგიონთან და ისპანის ტორფქვემა ნამოსახლარზე მოპოვებული ცულის ხის მოდელი უნდა ეკეთვნოდეს ღორჯომის (ნაომარის) ყუადაქანებული ცულის ტიპს (ინაიშვილი, 1975:26-29; მუსხელიშვილი, 2007:76), რომელთანაც ყველაზე ახლო ანალოგი აქვს ფურტიოს მონაპოვარს.

დასკვნა: ფურტიოს ყუადაქანებული ცული, აჭარის ტერიტორიაზე ადრე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებთან (ბრინჯაოს ყუამილიანი და ყუადაქანებული ცულები, კომბინირებული -შუბისპირისა და ხიშტის კომბინაცია - იარალი, ისპანის მტკვარ-არაქსული, ჯანჯღნარისა და კოლოტაურის კერამიკა და სხვა) ერთად, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აჭარის მთიანეთი, ადრეებრინჯაოს ხანაში ბარის პასიური დანამატი კი არ იყო, რომელშიც დაბლობის მეტალურგიული კერების ნაწარმი ვრცელდებოდა, არამედ, მეტალურგია აქ მოსახლე ტომების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს მონაკვეთი მნიშვნელოვან როლს წარმოადგენდა ძველ აღმოსავლურ, ანატოლიურ და უძველეს კავკასიურ კულტურათა ურთიერთობის სფეროში (კახიძე, მამულაძე, 2000:35; მუსხელიშვილი, 2007:76).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერძენიშვილი დ., ბრინჯაოს ყუამილიანი ცულები ქუთაისის მუზეუმიდან - ჩვენი საუნჯე - http://saunje.ge/index.php?id=1247&option=com_content&lang=ru (21.01.2025)

გოგიტიძე ს., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი, 1978

გოგიტიძე ს., ქობულეთის ქვის ხანის ნამოსახლარზე 1984 წელს ჩატარებული სავლე კვლევა-ძიების შედეგები. - სდსმ, XVI, თბ., 1987, გვ. 3-13

გოგიტიძე ს., კინტიშის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი), ბათუმი, 2008

დავითაძე ი., აჭარისწყლის ხეობაში შემთხვევით აღმოჩენილი ადრეებრინჯაოს ხანის მასალები. - ჟურნალი ჭოროხი, №2, 1976, გვ.87-88

დავითაძე ი., აჭარის მუზეუმში დაცული ადრეებრინჯაოს ხანის მასალები აჭარისწყლის ხეობიდან. - სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1973, გვ.153-158

ებრალიძე ტ., მამულაძე შ., ასლანიშვილი ლ., არქეოლოგიური გათხრები სოფელ ფურტიოში, აჭარა წარსული და თანამედროვეობა, I, ბათუმი, 2013, გვ.222-234

ვარშანიძე შ., გზები და საგზაო ნაგებობები ძველ აჭარაში, თბ., 1979

ინაიშვილი ა., დიდაჭარის განძი და კოლხური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, - სდსმ, V, 1975, გვ.3-50

კახიძე ა., უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში. - საქართველო უძველესი მეტალურგიული კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლეთ ცივილიზაციებთან, ნოვაციები,

პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (ბათუმი, 2018 წლის 25-28 ივნისი), ბათუმი, 2019, გვ.5-43

კახიძე ა., ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლად აღმოჩენილი კულტურა (ნოვაციები, გავრცელების არეალი, ძირითადი მახასიათებლები, პერსპექტივები, ძვ.წ. IV-II ათასწლეული), ბათუმი, 2021

კახიძე ა., მამულაძე., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი 1993

კახიძე ა., მამულაძე., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000

კახიძე ა., ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა I, თბ, 2007, გვ.135-139

კახიძე ა., სურმანიძე ნ., ნაგერვაძე მ., აჭარა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში. – კატალოგი, ბათუმი, 2016

კახიძე ა., სურმანიძე ნ., მახვილაურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა. – საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა). უახლესი აღმოჩენები, კონტაქტები აღმოსავლეთ ცივილიზაციებთან, ნოვაციები, პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (ბათუმი, 2018 წლის 25-28 ივნისი), ბათუმი, 2019, გვ. 44-55

კვიციანი ზ., საწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიცია სვანეთში (ანგარიში) 2014 წელი.
[https://old.tsu.ge/data/image_db_innova/agarisi%202014prezentacia\(1\),](https://old.tsu.ge/data/image_db_innova/agarisi%202014prezentacia(1),)
(21.01.20025)

ლორთქიფანიძე ო., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002

მამულაძე შ., აჭარისწყლის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993

მგელაძე ნ., ნარიმანაშვილი გ., ხალვაში მ., ტუნაძე თ., შანშაშვილი ნ., ქამადაძე კ., ოქროპირიძე ს., გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია, ბათუმი, 2019

მუსხელიშვილი დ., აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, თბ., 2007, გვ. 65-104

ნარიმანაშვილი გ., მგელაძე ნ., აჭარისწყლის ხეობაზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ. - იბერია-კოლხეთი, №3, 2007, გვ. 70-80

რამიშვილი აღ., კოლხური მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974

- ქორიძე დ.**, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965
- ლამბაშიძე ირ., მინდიაშვილი ბ., ბობოჭური ბ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი.**, უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში, თბ., 2010
- ჩხატარაიანი გ.**, პრეისტორიული ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები ფიჭვნარის შემოგარენში, - ფიჭვნარი VIII, 2023, გვ. 9-23
- ჯაფარიძე ო.**, საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბ., 1991
- ჯაფარიძე ო.**, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961
- ჯაფარიძე ო.**, ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში, თბ., 2013
- ჯიბლაძე ლ., კვიციანი ზ.**, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურათა ელემენტების კვება კოლხეთის მთიანეთში (ზოგადი მიმოხილვა). - <https://dspace.tsu.ge/bitstreams/5f986a99-a593-4ead-927d-43d4aa348009/download43d4aa348009/content> (21.01.20025)
- ჯიბლაძე ლ., კვიციანი ზ.**, კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველად, მეორად კერებსა და გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზები (ისტორიულ-გეოგრაფიული, არქეოლოგიური მიმოხილვა). - ამირანი, XXXVI, 2022, გვ. 22-62
- Иессен А.**, Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. – МИА, 23, 1951:96, 98, 107.
- Куфтин Б.К.**, вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – XII-В, სსმმ, თბ., 1944, გვ. 291-416
- Куфтин Б. К.**, вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – XIV-В, სსმმ, თბ., 1947, გვ. 297-298
- Куфтин Б.**, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 85
- Крупнов Е.**, Материали по археологии Северной Осети докобанского периода. – МИА, 23, 1951, გვ.39
- Чартолани Ш.К.**, история нагорья Западной Грузии доклассовой эпохе, Тб., 1989



ყუადაქანებული ცული სოფ. ფურტიოდან